

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ევა ლომთაძის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა /2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე/

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) ევა ლომთაძე  
თანამდებობის დასახელება - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

კომისიის დასახელება: სოციალური, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის საქმეთა; საფინანსო-საბიუჯეტო.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) პროპორციული  
საანგარიშო პერიოდი - **2018 წლის 1 ნოემბრიდან- 2019 წლის 1 ნოემბრამდე.**

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) რიგითი

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა --**22**----

საკრებულოს სხდომებზე დასწრება 18

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 18 მათ შორის დროებითი კომისიების - დროებითი სამუშაო ჯგუფში (გეოგრაფიული ობიექტების სახელდების);

კომისიის სხდომებზე დასწრება 15 მათ შორის დროებით კომისიებში---**3**-----

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 13

ფრაქციის სხდომებზე დასწრება 13

4. საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოზე დასმული საკითხები:

თელის ბაღის თაობაზე;

მაწიმის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირების თაობაზე;

პოლკოვისა ბაღისა და მაგათის ოფისთან მდებარე ცაცხვების სკვერის კეთილმოწყობის შესახებ;

ვარდუსუბანში მწოლიარე პოლიციელების მოწყობის თაობაზე;

სოფელ აფენში, საქობოსა და მშვიდობიანში კოკისპირული წვიმის შედეგად მოსახლეობის კარმიდამოების დატბორვის თაობაზე;

სოციალურ პაკეტში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრები ბავშვებისა და მათი ოჯახების დახმარების, ასევე მედიკამენტებით მკურნალობის გათვალისწინების საკითხები;

მასობრივ ღონისძიებებში ლაგოდეხელი შემოქმედებისა და შემოქმედებითი ჯგუფებისა და თბილისიდან მოწვეულ შემსრულებლებთან დაკავშირებით;

ლაგოდეხის მერისა და მის პიართან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით /საშობაო შოკოლადები და სარვამარტო თაიგულები მერისაგან/;

თვითმმართველობაში არსებული ურთიერთობების /მერისა და მერიის სამსახურების

ანგარიშვალდებულების თაობაზე საკრებულოს წინაშე/;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული დედამამით ობოლი ბავშვების დახმარების გაგრძელების თაობაზე 18 წლის შესრულების შემთხვევაში;

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა მოულოდნელი გადაწყვეტილება ავტომანქანების შესყიდვის თაობაზე;

ინიციირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა--0--- დადგენილება,---0- განკარგულება

#### 5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები :

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ;

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2019 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2018 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

თანხმობა ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალების / მარკა: JSB, ტიპი: ექსკავატორი, სარეგისტრაციო ნომერი: VV264V და VV260V / პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვნების ფორმით გადაცემის შესახებ ა(ა)იპ „ლაგოდების სერვის ცენტრს“, არსებობის ვადით.

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

თანხმობის მიცემის შესახებ ე.ლაგოდებში, ჩოლოყაშვილის ე. №8-ში განთავსებული შენობა-ნაგებობები, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზურფრუქტის ფორმით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდების სერვის ცენტრს“ არსებობის ვადით.

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების, ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანში მდებარე კულტურის სახლის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზურფრუქტის ფორმით გადასცემის

თაობაზე ა(ა)იპ „ლაგოდების მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრისათვის“ არსებობის ვადით.

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილის, მდებარე ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში შრომის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის პირველი სართულის სამი ოთახი ჯამში 48.00 კვ.მ. ფართი, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზურფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ სოფელ შრომის სათემო კავშირ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „ანი ბანი“-ს 2 წლის ვადით.

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების ქ. ლაგოდებში რუსთაველის ქ. №1-ში მდებარე ორსართულიანი შენობის (ყოფილი №1 საშუალო სკოლის შენობა) ნაწილი - 443,8 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, უზურფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე ქორეოგრაფიული სტუდია „იმედისათვის“.

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების, (საკადასტრო კოდი 54.08.59.010) სოფელ ცოდნისკარის ადმინისტრაციული შენობის ნაწილის - 48,6 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, უზურფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ცენტრ „ცოდნის კარისათვის“;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წელს ლაგოდების მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების თაობაზე, დანართის შესაბამისად;

ჯამრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ლაგოდების მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ;

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ლაგოდების მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ;

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოდაანში, ცენტრალური ქუჩის მცხოვრებთა მოთხოვნის გათვალისწინებით, სოფელ ფოდაანის ცენტრალური ქუჩისათვის, ამავე ქუჩის მცხოვრების, სამაჩაბლოს ომის მონაწილის, ვეტერანის, მეომართა კავშირის წევრის, სამშობლოს პატრიოტის და სოფლის სასახელო შვილის, ელდარი ტაბატაძის სახელის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გიორგეთში მდებარე კლუბის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადაცემის თაობაზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრსათვის“;

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობის მოკვლევის);

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის);

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (გეოგრაფიული ობიექტების სახელდების);

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №14-ი განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - 250 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნის ფორმით, არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრსათვის“;

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ხეჩილის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ

საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ხეჩილში მდებარე 15,18 ჰა საძოვარი) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულების გააგრძელების თაობაზე 5 /ხუთი/ წლის ვადით;

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, დანართის შესაბამისად - სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურისათვის“;

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ხეჩილის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ხეჩილში მდებარე 33, 13 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.07.128 და 3,85 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.09.119) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულების თაობაზე 5 /ხუთი/ წლის ვადით;

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სოფ. ვარდისუბანში მდებარე, 50 604 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი - ს/კ 54.07.51.055) მიწის ნაკვეთის, სოფ.სვიდების მოსახლეობისათვის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ათი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე.

თანხმობის მიცემის შესახებ აგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - გარე განათების (50 ვატი) 1300 ცალი ლამპიონი, 1300 ცალი მხვრეტავი ჩამჭერი და 32 ცალი (50 ვატი) პროექტორის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრისათვის“;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №26-ი განკარგულებაში მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობის მოკვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №25-ი განკარგულებაში ქალაქ ლაგოდეხში საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №29-ი განკარგულებაში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ივნისის №33-ი განკარგულებაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების (პარკების) და სპორტული მოედნების მოწყობა-დაგეგმარების დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე;

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ქ.ლაგოდეხში, ზაქათლის ქუჩაზე მდებარე ყოფილი №2 საშუალო სკოლის მე-2 სართულის 171,92 კვ.მ ფართის (ს/კ 54.01.56.222), სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით ი/მ ილია მოსაშვილზე, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე.

თანხმობის მიცემის შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - ექსკავატორი ბორბლიანი „ნიუ ჰოლანდ - B 1158“, გამოშვების თარიღი 2012 წ. სარეგისტრაციო ნომერი VV353, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადაცემის შესახებ ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრისათვის“.

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2019 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ;

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და დამტკიცების შესახებ;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოწერის თაობაზე და შეუერთდეს ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას;

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;

**7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა ----300---- და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა ----1000-----**

## 8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

ლაგოდებში წყლის სისტემის მოუგვარებლობა, გაზიფიცირება ბაისუბნის თემში, გზებისა და შეწყვეტილი სოციალური დახმარებების პრობლემა, მიუსაფარი ცხოველები /ძაღვები, კატები/, თბობის სეზონთან დაკავშირებული პრობლემები, უგზოობა /შიდა სასოფლო გზები/, სასაფლაოებთან მისასვლელი გზები, განადგურებული ქარსაცავების ზოლი/, მეორე ბაგა-ბაღის გახსნის აუცილებლობის საკითხი კაბლის თემში, უწყლობა სოფელ კაბალში, კაბლის თემიდან გიორგეთის საჯარო სკოლაში მოსწავლეთათვის ტრანსპორტის გამოყოფა; გუჯარეთში სასმელი წყლის ხარისხის ვარგისიანობის საკითხი, კანალიზაციის არარსებობა ქალაქ ლაგოდების უმრავლეს ქუჩებში, დაბინძურებული მდინარეები, უმუშევრობა, ახალგაზრდებისათვის გასართობი ცენტრების არარსებობა, მუნიციპალური სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის სიმწირე მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, მძიმე პირობებში მცხოვრები ბავშვებისათვის შესაბამისი დახმარების პროგრამების არარსებობა, წამლების დახმარების პროგრამის შეწყვეტა, დაზიანებული კორექტორი ქ. ლაგოდებში, ბავშვთა გასართობი ადგილების ნაკლებობა, სპორტული მოედნების და სკვერების სიმცირე, მათი გაუმართავი ინფრასტრუქტურა, ბაღების მძიმე მდგომარეობა /კართუბანი, თელა, კაბალი, ცოდნისკარი, ქ. ლაგოდების მესამე ბაგა-ბაღი/, სხვადასხვა სპორტული /ხელოვნების წრეების და საგანმანათლებლო სივრცეების სიმცირე, თანამედროვე ბიბლიოთეკების არარსებობა, საბავშვო ბაგა-ბაღებში ახალი ინვენტარის სიმწირე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა /არაადაპტირებული გარემო, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის არაადაპტირებული გარემო სკვერებში /საქანელა/, ოჯახში ძალადობის შემთხვევები, ადრეულ ასაკში ქორწინება, მიგრაციის მაღალი დონე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების დაბალი სოციალური ინტეგრაციის დონე, სოფლის ცენტრებში პენსიონერებისათვის სკამების სიმცირე /პენსიის აღების დროს ამის გამო ძალიან უჭირთ ხანდაზმულებს/, მოუგვარებელი სარწყავი სისტემა, თანამედროვე სასოფლო სამეურნეო ტექნოლოგიების ნაკლებობა, მიწის გამოკვლევის საჭიროება /ლაბორატორიის არარსებობა/, ვაშლოვანის ქუჩის პრობლემა-დაცული ტერიტორიების არეალში არსებული მონაკვეთი მოითხოვს გადაუდებელ ღონისძიებას-ხევის კალაპოტის გაწმენდას, სოფლის საძოვრები, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სერვისების დაბალი დონე, შემნახავი სამაცივრე ადგილების არარსებობა, სასაფლაოების მდგომარეობა, ცალკეული ნაკვეთები მიტაცებულია ხევების მიერ, ტროტუარების არარსებობა ქალაქში, ცენტრალურ გზატკეცილებზე, გარეგანათების პრობლემა ცალკეულ სოფლებში /მაწიმი/, საგზაო უსაფრთხოების პრობლემა /ნიშნები, ვიდეო-კამერები/, ინტერნეტის არარსებობა სოფლებში /ნაინდროვალი/, სანიაღვრე არხების პრობლემა, კულტურის სახლების, სათემო ცენტრების, საბანკეტო დარბაზების სიმცირე /მოუწყობლობა, საზოგადოებრივი ტუალეტების არარსებობა; სასაფლაოებზე წყლის სისტემის არარსებობა, მუნიციპალური საავადმყოფოს საკითხი, ე. წ. „პოლკოვის ბაღის“ მოწესრიგება; მაგთის ოფისთან მდებარე სკვერის მოწესრიგება ქ. ლაგოდებში; მოსახლეობის სახლების მდგომარეობა /სახურაგები, საერთო ბინებში სადარბაზოების სავალალო მდგომარეობა, მათ შორის ჩაბნელებული სადარბაზოები; სოფლებში, ცენტრალურ გზებზე, მოსაცდელის არარსებობა; შეზღუდული შესაძლებლობი ადამიანებისათვის ეტლების საჭიროება; სასწრაფო დახმარების მანქანების რიცხვის ზრდა, ასევე სასწრაფოში მომსახურე დამატებითი ჯგუფის ჩამოყალიბება; შეწყვეტილი სოციალური დახმარებები; ჯანდაცვის პრობლემები; დასაქმება, ავადმყოფთა /მოხუცთა შინმოვლის საკითხები/; მოსახლეობის გადინება საზღვარგარეთ; გამრიცხველიანების საკითხი; რუსული ზეგავლენის ზრდა სახელმწიფოში; მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრები ბავშვების საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გამოსწორების შესახებ; სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება თუ სხვა; მწოლიარე პოლიციელების მოწყობის საკითხები;

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება ნინიგორის ცენტრალური ქუჩისათვის, შმაგი ნოზაძის სახელის მინიჭების თაობაზე, საკრებულოს გადაწყვეტილების შესრულებასთან დაკავშირებით;

/აღნიშნული განცხადებით მიემართეთ საკრებულოს სდომას 2019 წლის 2 აგვისტოს ;

სოფელ შრომაში მცხოვრები ნ.ო. ოჯახში, სადაც იზრდება ორი ობოლი ბავშვი დახმარების გაწევის თაობაზე /საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე/; მიმართვა გაგზავნილი იყო მერიაში 2018 წლის იანვარში;

ლაგოდების საკრებულოსა და მერიაში წარდგენილ განცხადება წყლის მრიცხველებთან და სასმელ წყალთან დაკავშირებით;

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

შექმნილი გვაქვს ლაგოდების მუნიციპალიტეტის პრობლემათა რუქა; აქტიურად ვთანამშრომლობთ მოქალაქეებთან სხვადასხვა პრობლემების გამოსავლენად; გვაქვს სოციალური ქსელების მეშვეობითაც კონტაქტები მოსახლეობასთან, მათ მიერ დასმულ შეკითხვებს ვპასუხობთ და შესაძლებლობის მიხედვით ვეხმარებით მათ პრობლემების გადასაჭრელად; ვარ საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის სამუშაო ჯგუფის წევრი გაეროს პროგრამის ფარგლებში. პროექტის ფორმატში აქტიურად ვესწრები მათ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს და მიღებულ გამოცდილებას ვუზიარებ ქალებს მუნიციპალიტეტში;

ვარ ლაგოდების მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი; ვესწრებოდი ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და GIZ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგების ციკლს გენდერული აპექტების შესახებ;

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის აქტუალური საკითხების მხარდაჭერის აქციებში მონაწილეობის მიღება /წყლის სარეაბილიტაციო საქმიანობებთან, წყლის ხარისხთან დაკავშირებით/;

საქართველოში, საქართველოს პარლამენტში, გავრილოვის „ვიზიტთან“ და რუსულ ოკუპაციასთან დაკავშირებით /მათ შორის 2019 წლის 20 ივნისის ღამეს/ საპროტესტო აქციებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღება;

მასობრივ-საინფორმაციო საშუალებებისა და სატელევიზიო გადაცემებში ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პრობლემებთან დაკავშირებით ჩართულობა;

სოციალურ ქსელებში ლაგოდებელი ბავშვებისა და უფროსების, ასევე მათი ოჯახების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციების განთავსება მათი პრობლემების მოგვარების მიზნით;

ვარდისუბანში, მშვიდობიანსა და საქობოში სტიქიის შედეგად საკარმიდამო ტერიტორიების დატბორვასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის აქტივობები;

2019 წელს 25 ივნისს

ქ. ლომია